

## ასპინძის მუნიციპალიტეტის გამრალი გვარები

### მოკლე შინაარხი

მაპმადიანი მოსახლეობის 90%-ზე მეტს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში მშობლიური მხარიდან შეა აზიაში გასახლება მიუსაჯა, გამაპმადიანებული მესხები წარმოადგენდნენ. მათ რომ ქრისტიანულ ფესვები ჰქონდათ და „თათარს“ არა ეროვნების, არამედ სარწმუნოების გამო უწოდებდნენ, დღემდე შემორჩენილი ბევრი ტრადიცია ადასტურებს. გამაპმადიანებულთა უმრავლესობამ იცოდა თავისი ქართული გვარი, რომლებსაც საგანგებოდ ართმევდნენ და ფესვებიდან კვეთნენ.

ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება 100-ზე მეტი გვარი, რომლებიც დეპორტირებულ მოსახლეობასთან ერთად გაქრა. ნაშრომში მიმოვისილავთ გამქრალი გვარების ერთ ნაწილს, როგორიცაა: ბალადაშვილი, გოგდარიშვილი, გონიაშვილი, ვეფხაძე, თუთაძე, თურმანიძე, იბოშვილი, ისპირიანი, ქომურაძე, ლალიაშვილი, მამნიაშვილი, მახარაძე, მეტონიძე, მეხრიძე, მუთიაშვილი, ნადინაშვილი, რასულაშვილი, რახმიაშვილი, სარაჯიშვილი, ტოროლაშვილი, ფეხოშვილი, ლარიბაშვილი, ყულიშვილი, ხალოშვილი, ჯიგაშვილი, ჯუხარაშვილი.

საკვანძო სიტყვები: ანთროპონიმი, გვარი, გვარსახელი, გამქრალი გვარი, პირსახელი, საკუთარი სახელი, შტოგვარი.

*Natela Melikidze*

## SURNAMES NOT MET ANYMORE IN ASPINDZA MUNICIPALITY

### *Abstract*

More than 90% of muslim population of the region who were deported from Meskheti to the central Asia in the 40-ies of the XX century were Georgians and their nickname “tatari” denoted not their nationality but confession. many facts and traditions existing in the region confirm this.

There are more than a hundred surnames having disappeared as soon as the muslim meskhs were deported: **baladaSvili**, **gogdariSvili**, **goniaSvili**, **vefxvaZe**, **TuTaZe**, **TurmaniZe**, **iboSvili**, **ispiriani**, **komuraze**, **laliaSvili**, **mamniaSvili**, **maxaraZe**, **mexriZe**. **metoniZe**, **muTiaSvili**, **nadinaSvili**, **rasalaSvili**, **raxmiaSvili**, **sarajiSvili**, **torolaSvili/toroliSvili**, **fezoSvili**, **GaribaSvili**, **KuliSvili/KuloSvili**, **xaloSvili**.

**Key Words:** Anthroponym, surname, surnames not met anymore, the name of surname, the human names, branch-name.

**შესავალი:** ძალიან მგრძნობიარეა სამცხე-ჯავახეთიდან დე-პორტირებულთა საკითხი, მათი წამომავლობისა და ფესვების დაღგენა არა მარტო მეცნიერებისათვის არის აქტუალური, თი-თოეული მათი შთამომავალისთვისაც საგულისხმო საქმეა. ნა-შრომის სიახლე არის ის, რომ აქამდე დეპორტირებულთა გვა-რების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი არ გვქონია, გარ-და ცალკეული შემთხვევისა (შ. ბერიძე), გვქონდა მხოლოდ აღ-წერა სოფლების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტში გამქრალია 100 გვარზე მეტი, რომელთა მატარებელი მაჟმადიანი მოსახლეობა იყო. გადასახლებისას მათ თან წაიყოლეს მემკვიდრეობითი სახელები. დეპორტირე-ბლთა გვარსახელებმა ჩვენ თვალწინ გააცოცლეს მეტსახე-ლები, გეოგრაფიული სახელები, ეპონიმები, რომლებმაც გვა-რის ჩამოყალიბებაში გადამწყვდები როლი ითამაშა.

**მსჯელობა:** ქვემოთ განვიხილავთ ასპინძის მუნიციპალი-ტეტში გამქრალ გვარებს, რომლებიც დეპორტირებულ მოსახ-ლეობას თან გაჰქვა. გვარის გასწვრივ მითითებულია დასახ-ლება, სადაც ეს გვარი დასტურდებოდა და წყარო.

**ბალადაშვილი** (ხერთვისი, ხოსიტ.) - ვფიქრობთ, გვარსახე-ლი ბალადაშვილი მეტათეზისის შედეგად უნდა იყოს მიღე-ბული ბადალაშვილისაგან (ბადალაშვილი > ბალადაშვილი). „ბადალაშვილების წისქვილი“ დასტურდება ერკოტაში (ბერი-ძე, 2011: 115). შედრ. შტოგვარი ბადალიენი.

ბადალ, ბადალი „ტოლფასი“ (არაბ); ბადალი ფეოდალურ საქართველოში სხვის ნაცვლად ბეგარის მომხდელს ნიშნავდა. „ძეგლის დადება მეფეთა-მეფის გიორგის მიერ“ (XIVს.) ითვა-ლისწინებდა შეუძლოთ მყოფი ხევისბერის მაგიერ ლაშქარში მმის ან სხვა მახლობლის წასვლას (ქსე, 1977: 133). საყურად-ღებოა ერთი ფაქტი ა. ყიფშიძისათვის ანდრია ჯვარიძის ნაამ-

ბობიდან: „რომელს აღარ მახსოვეს (მამაჩემს თუ ბიძაჩემს), მაგრამ იმ წელიწადს დიდის ყოფმანისა და რჩევის შემდეგ ძმა-თა შორის, ერთი მათგანი ეახლა ყადის, მიართვა ძმის ოცდა-თხუთმეტი კურუში და განაცხადა, ხარაჯიდან მე გამათავი-სუფლეთ, რადგან მისი გაღება აღარ შემიძლია და მაპმადია-ნობას მივიღებო“. ერთ-ერთმა ძმამ ცოტა ხნით მაინც შეინარ-ჩუნა ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ ხარაჯის უქონლობის გამო ისიც დასვინათდა. „მამაჩემს ალექსის შურადაი დაარქვეს და ბიძა პავლეს ბადალაი, დღესაც ბიძაჩემის ჩამომავლობას ბადალაანთ ეძახიანო“ (ფრონელი, 1991: 63). არ არის გამორიც-ხული, რომ ძმისთვის ხარაჯის მომხდელს ბადალა უწოდეს.

ბადალა, ი. მაისურაძის აზრით, მიღებულია -ალ მაწარ-მოებლის დართვით (ბადა+ალ). შდრ. ბადაშვილი, ბადურაშვი-ლი (მაისურაძე, 1990: 27). მაშასადამე, მეცნიერი მასში საქუ-თარ სახელს მოიაზრებს და არა „შემნაცვლებელს“.

**გოგდარიშვილი** (ზედა და ქვედა ოშორა, ბარათ, თოფჩ.) – რთულოუძიანი გვარსახელია, ტრადიციული მაწარმოებლის გარეშე (გოგდარი-შვილი) ორი კომპონენტისგან შედგება: გოგი+დარი. შდრ. გოგბერაშვილი (< გოგი+ბერა). - დარი მონა-წილეობს გვარებში: ლონდარიძე, ლევარიანი... დარი „მსგავს-ზე“ მიანიშნებს, გოგდარი - გოგის მსგავსია, გოგისნაირი, რომელმაც -შვილი მაწარმოებლის დართვით გვარსახელი მოგვცა. რა შეიძლება იგულისხმებოდეს პირველ კომპონენტში - გოგი? „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ გოგი/გონგი (ზ.იმერ) განმარტავს, როგორც „მთავარ ბოძს, რომელზედაც სახლის თავია დაგდგული“ (დლონტი, 1984: 156). ვკიქრობთ, გოგდარი მყარ, დასაყრდენ, საიმედო ადამიანზე მიანიშნებს და სწორედ ამ სემანტიკით გვხვდება გვარსახელის ფუძეშიც.

**გონიაშვილი // გონიაძე** (ყამზა, თოფჩ.; ოშორა, ბერიძე, ხოსიტ.) - წარმომდგარია პირსახელიდან გონია. სცსსა-ზე დაყრდნობით (ფ. 254, ან. 3, საქ. №1846, გვ.30-69) რ. თოფჩიშ-ვილი შენიშვანს, რომ ზემო ოშორაში ოჯახის უფროსად და-სახელებულია ისმაილ გონია ოდლი (თოფჩიშვილი, 2016: 4), ე.ი. გონია(ს)შვილი. ა. დლონტან დაფიქსირებულია გონა (დლონტი, 1967: 68).

**ვეფხვაძე** (აწყვიტა, „ოჯახური სიები“) // **ვეფხიძე** (შალო-შეთი, თოფჩ.) - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI სს.) ტრლოშელი ოჯახის უფროსის სახელად დასტურ-დებოდა **ვეფხიძასძე**. ამ სახელის დღვერძელობაზე მიუთითებს

მომდევნო საუკუნეებში ვეფხებისა და ვეფხისა არსებობა. ვეფხვას, მგელას, ფოცხვერას და ა.შ. სახელდებისას, ვფიქრობთ, ძალასა და „შეუპოვრობას „ანათლებდნენ“ ახალდაბა-დებულს.

**თუთაძე** (ტოლოში, ხერთვისი, შალოშეთი, ინფორმატორთა ტექსტები, თოვზ., ხოსიტ.) - საფუძვლად უდევს სამცხე-ჯავა-ხეთში გაგრცელებული პერსონიმი თუ თა. ა. ა. დლონგის ლექსიკონში მამაკაცთა სახელებად დადასტურებულია: თუთა, თუთაი, თუთალა, თუთარ, თუთი, ხოლო ქალებში აქტუალური ყოფილა: თუთი, თუთა, თუთაცირა, თუთუ (დლონგი, 1967: 86, 184). იმაისურაძის „ქართული გვარსახელები“ იცნობს: თუთა-შვილს, თუთარაშვილს თუთარაულს, თუთისანს (მაისურაძე, 1990: 676). ცნობილია, ხერთვისის სახოფლო საბჭოს თავჯდო-მარე ხალის თუთაძე, რომელმაც „გათურქების“ მიუხედავად, ვერ შეძლო სწავლა აზერბაიჯანულ-თურქულად და თბილისში მივლინებულმა მიატოვა კურსები (ბერიძე, 2005: 113). ტოლოშში ბაგრის უბანში უცხოვრიათ თუთაცებებს. „მახსოვს. რონა გაუ-სახლებინათ, მაშინ გახმიანდა, რო ესენი თუთაძეები არიან, არევ-დარევის დროს გადიკეთეს გვარი. ეხლა რო იძახიან თურქი მესხებიო, აი, ეგენია. მაგ დროს შეიცვალეს მაგათ გგა-რები“. ხერთვისში სხვა ქართულ გვარებთან ერთად თოთაძეს ასახელებს ვასილ ნათენაძე (ბერიძე, 2005: 305), რომელიც ფონეტიკური სახეცვლილებაა თუთაძისა.

**თურმანიძე** (ასპინძა, ბარათ.) - თურმანიძეები სოფელია ქე-დის რაიონში. ამავე ძირისაა: თურმანაული, თურმანიშვილი (მაისურაძე, 1990: 77). ტოლოშის მელიქიძეთა განაყრებს თურმანანთ ეძახიან, თურანას (< თურმანას) შთამომავლებს. სპარ-სულად დურმან „წამალი, საშუალება, გადარჩენაა“, მ.ჯიქიას აზრით, ძნელი არ არის თურმანიძეთა გვარის დაკავშირება წა-მალთან და თურმანი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მეწამ-ლე“ (ჯიქია, 2008: 46). რ. თოვზიშვილის მიხედვით, ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც თურმანიძეთა გვარია მოხსე-ნიებული, თარიღდება 1443-1446 წლებით და დასტურდება, რომ ატენის მოურავი ყოფილა საგია თურმანიძე (თოვზიშვილი, 2011: 152).

**იბოშვილი** (ყამზა, თოვზ.) - ი.ახუაშვილის „ქართული გვარ-სახელები“ ადასტურებს იბაშვილს და სავარ. საკუთარი სახე-ლიდან - იბა - მომდინარედ მიიჩნევს (ახუაშვილი, 1994: 381). იბო იბრაგიმის შემოკლებული ფორმა გვგონია (იბო < იბრო <

იბრაგიმ), მომ უფრო, რომ დლონტთან დაფიქსირებულია: იბრა, იბრამ (დლონტი, 1967: 87). 1842 და 1863 წლის აღწერებში დაფიქსირებულია იბო-ოლლი (ბარათაშვილი, 1997: 26), რაც მოწმობს, რომ იბო ეპონიმური სახელია.

**ისპირიანი** (ზ.ოშორა, ბარათ., თოფხ.) - ისპირ სპერის თურქული ვარიანტი უნდა იყოს, სტამბოლი/ისტამბოლის მხაგასად. ქსე სპერს ასე ახასიათებს: „მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, ქართლის (იბერია) სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ პროვინცია მდ.ჭოროხის ზემო დინების აუზში (ახლანდ. თურქ. პროვინცია ისპირი)“ (ქსე, 1985: 511). -იან წარმომავლობის სუფიქსის დართვაშ მოგვცა ისპირიანი - „სპერიდან მოსული“, რომელიც შესაძლებელია ჯერ შტოგვარის აღმნიშვნელი იყო, მერე გვარად დაფიქსირდა.

**კომურაძე** (ხერთვისი, თოფხ.) - გვარსახელი შეიძლება ასე დაიშალოს: კო-ურ-ა-ძე, სადაც კომ ძირია, ხოლო დანარჩენი (-ურ, -ა, -ძე) - მაწარმოებელი. კომ-ი იგივე „კომლია, მოსახლე“ (დლონტი, 1984: 300). შესაძლებელია თუ არა, რომ კომის გვერდით ვივარაუდოთ კომური იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს გვაქვს გომი/გომურის შემთხვევაში - „ბოსელი, საქონლის საზამთრო ბინა“ (დლონტი, 1984: 157). შდრ. სახლისაშვილი. „კომ“ ძირი ფიქსირდება „ქართველურ საკუთარ სახელებში“ წარმოდგენილ სახელებთან: კომინო, კომიტა (დლონტი, 1967: 94).

**ლალიაშვილი** (ქვ. ოშორა - თოფხ.) - პირსახელიდან მომდინარე გვარია. ლალი წარმოშობით ძველი ინდურია, აღნიშნავდა წითელი ფერის ძვირფას თვალს - ლალს, აქედან კი - საერთოდ წითელ ფერს. ამ სიტყვას უკავშირდება სახელები: ლალი, ლალა, ლალე, ლოლა. ზოგი მათგანი აღმოსავლეთის ხალხებში გვხვდება მამაკაცის სახელადაც (ჭუმბურიძე, 1992: 166). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დაფიქსირებულია: ლალა, ლალქ, ლალო, ლალუა, ლალი, ლალისა, ლალიტა (დლონტი, 1967: 97, 187). ამ სახელის მონაწილეობით დამკვიდრდა ანთროპოლოგინიმი ლალიაურები (საძოვარი დადეშში), რომელიც მოწმობს, რომ ამ საძოვარს ოდესადაც ვინმე ლალია ეპატრონებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ლალი ენაბლუს აღმნიშვნელი იყო ჯავახურში. შდრ. ლალი (არაბ. თურქ.) მუნჯი, ბლუ (ბერიძე, 1981: 77).

**მამნიაშვილი** (ზ. ოშორა, თოფხ.) - საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი მამნე. გვარსახელში წარმოდგენილი პირსახელი კნინობითსუფიქსიანია (მამნ-ია-შვილი). შდრ. ნამნიაურებიც

ნამნია (ბერიძე, 1992: 51). ა.დლონტის „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს მამნაის-ს (დლონტი, 1967: 189). მამნე ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, ქართული სახელია, „მამისა“, წარმოების მხრივ შედარებულია ცოტნებითან (ჭუმბურიძე, 1992: 129): ცოტა-ნე > ცოტნე, მამა-ნე > მამნე.

**მახარაძე** (ყამზა, ბოჭორ.) - მომდინარეობს სურვილის სახელიდან, ზმური წარმომავლობისაა (მახარა მან მე ის), ამოსავალია „ხარება“. მახარა/მახარე ქართულში ფართოდ გავრცელებული სახელები იყო.

**მეტონიძე** (ქვოშორა, ბარათ.) - ი. მაისურაძეს ამ გვართან დასახელებული ოქვე მეთონიძე (მაისურაძე, 1990: 110). შესაძლებელია, წინაპართა საქმიანობას, მოხელეობას, კერძოდ, მეთონეობას (შდრ. მეთეფშიშვილი, მეფარიშვილი, მეფარიძე), უკავშირდებოდეს აღნიშნული გვარსახელი, რომლის ფუძეშიც გამჟღერდა „თ“.

**მეხრიძე** (ზ.ოშორა, ბარათ.) - გვარს საფუძვლად უდევს წინაპართა საქმიანობის გამომხატვებული ლექსემა. შდრ. მეხრიშვილი. მეხრეს უწოდებდნენ ადამიანს, გუთნის ხარ-ჯამებს რომ აძოვებდა და ხვის დროს ერეკებოდა (დლონტი, 1984: 360).

**მუთიაშვილი // მუთიშვილი** (ქვ. ოშორა, ბარათ.) - მომდინარეობს პირსახელიდან მუთია, რომელშიც გამოიყოფა მუთუუძე და -ია სუფიქსი. აღნიშნული ფუძე -ო და -უნ-ია სუფიქსებით გვხვდება დლონტის საკუთარ სახელებში: მუთო, მუთუნია (დლონტი, 1967: 107). მუთიაშვილის ფონეტიკური ვარიანტია **მოთიაშვილი**, შდრ. ოუთაძე/თოთაძე.

**ნადინაშვილი** (ზ. ოშორა, ბარათ.) - მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ნადირა. შდრ. ნადირაძე. ნადინაშვილში გვაქვს სუბსტრიტუციის შემთხვევა რ - ნ შენაცვლებით: ნადირაშვილი > ნადინაშვილი.

**რასულაშვილი** (ინდუსა, ბოჭორ.) - შესაძლებელია, საფუძვლად უდევს მეტსახელი რასულა/რასული, რომელიც იქცა პირსახელად. შდრ. რაგული/რაგულა < „კარგი გულის პატრონი, კეთილი“. ქართულისათვის ბუნებრივია: სულიკო, გულიკო.

**რახმიაშვილი** (ქვ. ოშორა, ბარათ.) - ებრაული სახელებიდან ცნობილია რახამია „სიბრალული, შებრალება“ (გაგულაშვილი, 1993: 120). შესაძლებელია, ქართულ სინამდვილეში ამ სახელმა ბოლოებიდურა მარცვლის მოკვეცისა და -ია სუვიქსის დართვისას გამოწვეული კუმშვით მოგვცა რახმია (< რახამ-ია < რახამიმ). „ქართველური საკუთარი სახელები“ იც-

ნობს რახე, რახო და რახული ფორმებს (დლონტი, 1967: 197). ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყვიტაში დადასტურდა ქალის სახელად რახიელი (ბესარიონის ასული ზედგინიძე, გამოთხოვილი სოფ ზველიდან, გარდაიცვალა 2000 წ.), რომელ-საც ოფიციალურ დოკუმენტებში ეს სახელი ჰქონდა დაფიქსირებული, შინაურობაში კი რახოს ეძახდნენ. შდრ. რახილი - ენინო შვილის მოთხოვიდან „ქრისტინე“.

**სარაჯიშვილი** (ქ. ოშორა, ოფებ.) - გვარსახელთა ერთი ნაწილი წარმოგვიდგენს პროფესიულ საქმიანობას. სარაჯიშვილს საფუძვლად უდევს ხელობის სახელი. სარაჯი არაბულად უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელი, მეუნაგირეა (ქეგლ, 1986: 394).

**ტოროლაშვილი // ტოროლიშვილი** (ზ. ოშორა, ბარათ., ოფებ.) - ფრინველთა სახელებიდან მომდინარე გვარსახელების მსგავსია, შდრ. გვრიტიშვილი, კაჭკაჭაშვილი/კაჭკაჭიშვილი, ჩხიგვიშვილი. ამჟამად აწყვიტაში ცხოვრობენ ტოროლოვები, რომელთა უცხოურ წარმოშობაზე საუბრობენ ინფორმატორები: ასპინძის ოშში ტოტლებებს თან ახლდნენ პოლონელი მეომრები, რომლებიც დარჩნენ სამცხე საქართველოში და აქვედასახლდნენ.

**ფეხოშვილი** (ქ. ოშორა, ბარათ.) - ი. მაისურაძეს დაფიქსირებული აქვს ფეხუაშვილი (მაისურაძე, 1990: 165). ფერუზა ირანულად „ნათელი, სინათლით ავსილია“ (ა. გაფუროვი). ი. ახუაშვილი ადასტურებს გვარსახელს ფეროზაშვილი//ფერიზაშვილი (ახუაშვილი, 1994: 547). ვფიქრობთ, ფერუზა/ფეროზამ მეტაფორისით მოგვცა: ფეხორა; ამ სახელის შემოკლებულ ფუძეს ადასტურებს შტოგვარის სახელები: ფეხვიენი, ფეხულიები.

**ლარიბაშვილი** (რუსთავი, ხოსიტ.) - ერთი შეხედვით, სოციალური მდგომარეობის გამომხატველი მეტსახელიდან მომდინარეა (ღარიბ-ი > ლარიბა > ლარიბაშვილი), მაგრამ სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ასეთ სახელებს არქმევდნენ შვილებს სიცოცხლის შესანარჩუნებლად: „ბავშვის უკუქცევითი შინაარსის სიტყვით სახელდება მიმართული იყო ვითომდა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩნად“ (ი. ახუაშვილი). XIV საუკუნიდან მოყოლებული ვანის ქვაბთა საბუთებში შემწირველთაგან სამცხე-საათაბაგოს ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ გვარის წარმომადგენლებს შორის ჩანან დარიბასძენი. მურვან დარიბასძეს ვანის ქვაბთა საღვთო კრებულისთვის მიუძღვნია თავისი ნასყიდი მამული: „ხარაკი მზღვ-

რითა, მთითა და ბარითა, „შესავალ-გამოსავლითა“, ტოლოშს ორი ვენახი, ერთი მამული ორხოფიას როტაშაული, ახალშენი-მაღნარას, ორი ყანა სოფელ ფიაში, საკუთარი „ნასყიდი“ მამულების მესამედი სოფლებში: კუნელეთში, დიდკლდეში, ციხე-კნელში, კუარბში; ხოლო დარიძასძეთა რძლებს მჭედლის-უბნიდან ერთი ყანა შეუწირავთ და ტოლოშიდან ვენახი (ჩალახაძე, 1997: 48). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთრუში“ ხუთისაუკუნისწინანდელ ხიზაბავრაში თვალისად მოხსენებულია დარიძისძე (ჯიქია, 1941: 175).

**ყულიშვილი // ყულოშვილი** (ქ. ოშორა, ბარათ.) - ვ. გაბაშვილის ცნობით, ყულები საქართველოში მეფის პირადი მცველები და ზედამდგომლები ყოფილან. გვარსახელის ფუძე დასტურდება „დიდ დავთრისეულ“ თხზულ სახელში ყულიჯან - ხიზაბავრა, 1595 წ. (ჯიქია, 1941: 176). ყული „მონა, ბერავი“, შდრ. ბედიყული, იენი ყული - არხეინი (ბერიძე, 1981: 144). ქ. ჯიქიას გამოკვლევით, ყული განსაკუთრებით პროდუქტიულია კომპოზიტური წარმოების სახელებში: ყულიბეგ, ყულოდლი, თანდრიყულუ, ყულარალასი, დელიყულისა (ჯიქია, 2008: 69).

**სალოშვილი** (ინდუსა, ბოჭორ.) - აშკარაა, საკუთრივ ანთროპონიმიდან მომდინარე გვარსახელია. „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დოკუმენტირებულია ხალ-ფუძისეული რამდენიმე ანთროპონიმი: ხალიმათ, ხალინა, ხალინედა, ხალიჯანა (ქალთა სახელებში), ხალო, ხალუა, ხალუმბექ (მამაკაცთა სახელებში) (დლონტი, 1967: 212).

**ჯაგაშვილი** (ყამჩა თოფჩ.) - საფუძვლად უდევს პირსახელი ჯაკა. „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს: ჯაკო, ჯაკოია, ჯაგუ, ჯაგულა ფორმებს. ეს უკანასკნელი მეტსახელად ჩაუწერიათ გორის რაიონში (დლონტი, 1967: 160). ჯაკელი/ჯაკელა იმერულში, გურულსა და მეგრულში მეორე წლის ხბო, დეპულია (დლონტი, 1984: 772).

**ჯუხარაშვილი** (ასპინძა, ბარათ.) - ა. დლონტი აფიქსირებს: ჯუხაის და ჯუხარას (დლონტი, 1967: 164). ჯუხარაშვილი, ი. მაისურაძის ინფორმაციით, 1966 წელს ისევ ფიქსირდება ასპინძიში (მაისურაძე, 1990: 248).

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ახუაშვილი, 1994 - ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბილისი, 1994.

ბარათაშვილი, 1997 - კ. ბარათაშვილი, მაჟმადიანი მესხების ქართული გვარები, თბილისი, 1997.

ბერიძე, 1981 - გ. ბერიძე, ჯავახერი დიალექტის სალექსი-კონი მასალა, თბილისი, 1981.

ბერიძე, 1992 - მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი, 1992.

ბერიძე, 2005 - ბერიძე მარინე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან (მესხეთი და მესხები, 1918-1944 წწ.), თბილისი, 2005.

ბერიძე, 2011 - მ. ბერიძე, ხოფლები და ნახოფლარები მოგვითხრობენ, თბილისი, 2011.

ბოჭორიძე, 1992 - გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1992.

გაგულაშვილი, 1993 - ი. გაგულაშვილი, ქართული გვარები, ძირითადი ლექსიკური ფონდი; საკუთარი სახელები, ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

თოფჩიშვილი, 2011 - რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბილისი, 2011.

თოფჩიშვილი, 2013 - რ. თოფჩიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბილისი, 2013.

მაისურაძე, 1990 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, სალექსიკონი, ბიბლიოგრაფიული მასალები, თბილისი, 1990.

ტალახაძე, 1997 - ი. ტალახაძე, ვანის ქვაბთა მონასტრის მეურნეობა, კრებული „მესხეთი“, I, ახალციხე, 1997.

ფრონელი, 1991 - ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბილისი, 1991.

ქეგლ, 1986 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთგომეული, თბილისი, 1986.

ქსე, 1977 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1977.

ქსე, 1985 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1985.

დლონები, 1967 - ა. დლონები, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1967.

დლონები, 1984 - ა. დლონები, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

ჭუმბურიძე, 1992 - ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი, 1992.

ჯიქია, 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბილისი, 1941.

ჯიქია, 2008 - მ. ჯიქია, თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში, თბილისი, 2008.